

ქ.თბილისი

10.02.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
3. რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
4. ლალი ლოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
5. დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
6. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
7. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. ეკატერინე ჩინჩალაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
9. დავით მახვილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
10. მარინა ჟვანია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;
11. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
12. თამარ ლორთქიფანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
13. მაკა კორძაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

14. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
15. ლალი შაიშმელაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი;
16. კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
17. გია ტარიელაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
18. სალომე ფრუიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორი;
19. ნანი დალაქიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
20. ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალიტი;
21. სერგო ჯორბენაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტი;
22. დავით მაკარიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის - გაიანე სიმონიას სხდომაზე არ ყოფნის გამო, მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;

15. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;

16. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ "ანრისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;

17. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

ვინაიდან, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, შპს ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დროულად ვერ გამოცხადდა ცენტრში, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით განსაზღვრული მე-14 საკითხის (შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა) განხილვა გადატანილი იქნა ბოლო საკითხად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დაწყებამდე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლი ს შინაარსი, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილი იყო აკრედიტებული (ავტორიზებული) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ და საბჭოს გააჩნია ინფორმაცია ამ დაწესებულებების მატერიალური რესურსის შესახებ, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თავალსაზრისით, რაც შეეხება პროგრამულ და ადამიანურ რესურსს მათი შესაბამისობა სტანდარტებთან გამომდინარეობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან და წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა განესაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

ავტორიზაციის საბჭო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება მხოლოდ 2 შემთხვევაში:

1. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - ავტორიზაციის ვადით;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

ნიშანდობლივია, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლი ადგენს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ თვითშეფასების ანგარიში, შეუძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრა მოხდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობისაგან დამოუკიდებლად. ამდენად, საბჭო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განსაზღვროს უკვე განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ.

კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წევრების წინაშე განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: დაწესებულება, რომელმაც სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში, უფლებამოსილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 2011 წლის 1 თებერვლამდე დამატებით წარედგინა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ან მოეხდინა არსებული პროგრამების მოდიფიცირება. დღის წესრიგით გათვალისწინებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში წარადგინეს დადგენილ ვადაში. მან დასძინა, რომ ცენტრი საბჭოს წინაშე შუამდგომლობდა მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, რომელიც 2011 წლის 10 თებერვალს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარით იქნა წარმოდგენილი ცენტრში. კერძოდ, მეოთხე და მეხუთე საფეხურის ის პროფესიული პროგრამები, რომელზე ჩარიცხვაც 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე მოხდება.

I. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კონსტანტინე ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	კინო-ტელე რეჟისორი	მეოთხე	60	კინო - ტელე რეჟისორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
2.	ტანსაცმლის დიზაინი	მეოთხე	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების მეოთხე საფეხურის სპეციალისტის კვალიფიკაცია

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა კონსტანტინე ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს დაუსვა კითხვა, ხომ არ ჰქონდა განმცხადებელს წარმოდგენილი შუამდგომლობა პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი შუამდგომლობა სახეზე იყო და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვდა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 45-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 45 ადგილით.

II. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში მოცემული იყო 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა, 2010 წლის 10 თებერვალს მათ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარმოადგინეს ანკეტა-კითხვარი, რომლის მიხედვითაც სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აპირებს მხოლოდ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებას. შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შუამდგომლობით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი	მეხუთე	150	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა კ. ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კ. ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ 1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვდა პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 30-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სტუდენტთა

მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 30 ადგილით.

III. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კ. ჩოკორიას მოხსენება სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი	მეოთხე	90	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
2.	თეატრის და კინოს მხატვარ-დეკორატორი	მეოთხე	90	თეატრის და კინოს მხატვარ-დეკორატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
3.	ფოტოგრაფია	მეოთხე	60	ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
4.	მენეჯმენტი	მეხუთე	60	ტელერადიოპროდიუსერის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
5.	ჟურნალისტიკა	მეოთხე	120	საინფორმაციო პროგრამების ოპერატორი-მემონტაჟის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
6.	ჟურნალისტიკა	მეოთხე	120	ტელერადიო რეპორტიორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
7.	ეკრანული ხელოვნება	მეოთხე	60	კინოტელერეჟისორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
8.	ეკრანული ხელოვნება	მეოთხე	60	მონტაჟის რეჟისორის

				მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
9.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	მეოთხე	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
10.	ხატწერა, ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება	მეოთხე	90	ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა კ. ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კ. ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად შეესაბამებოდნენ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მე-5 და მე-6 საგანმანათლებლო პროგრამები, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. ამასთან დაკავშირებით კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში არ არის შეზღუდული და შესაბამისად აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დაუსვა კითხვა, ხომ არ ჰქონდა რომელიმე მათგანს მონაწილეობა მიღებული წარმოდგენილი პროგრამების შემუშავების პროცესში. განხილვაში მონაწილე საბჭოს არცერთ წევრს მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვდა პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 209-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 209 ადგილით.

IV. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარე შუამდგომლობით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს 14 საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	მქსოველი (ტრიკოტაჟის ნაწარმის)	მეოთხე	60	მქსოველის (ტრიკოტაჟის ნაწარმის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების	მეოთხე	60	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების

	(ქსოვილების მოჩითვა) სპეციალისტი			სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	მეოთხე	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4.	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტი	მეოთხე	60	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	ავტომობილის ზეინკალი	მეოთხე	60	ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6.	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	მეოთხე	60	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	კვების წარმოების მანქანების ოპერატორი	მეოთხე	60	კვების წარმოების მანქანების ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8.	შედუღება	მეოთხე	60	შემდუღებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9.	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი	მეოთხე	60	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10.	მებაღე (დეკორაციული მცენარეების)	მეოთხე	60	მებაღის (დეკორაციული მცენარეების) მეოთხე საფეხურის პროფესიული

				კვალიფიკაცია
11.	მეხილე	მეოთხე	60	მეხილის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
12.	მევენახე	მეოთხე	60	მევენახის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
13.	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი	მეოთხე	60	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
14.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	60	მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა კ. ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კ. ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებინ, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ითხოვდა სტუდენტების ადგილების საერთო რაოდენობის 820-ით, ხოლო მეოთხე და მეხუთე საფეხურისთვის - 700 პროფესიული სტუდენტის ადგილის განსაზღვრას. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე წარმოადგინა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ მეოთხე და მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 820 ადგილით.

V. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კ. ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	IV	60	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	IV	60	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

3.	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	IV	60	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4.	სასტუმრო საქმისწარმოება	IV	60	სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6.	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8.	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9.	ნავთობისა და გაზის	IV	60	ნავთობისა და გაზის

	მეურნეობის ტექნიკოსი			მეურნეობის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10.	არქიტექტორ - ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	არქიტექტორ - ტექნიკოსის (გრაფიკოსი) IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
11.	მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	IV	60	მშენებლობის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კ. ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ ისინი ვალდებული არიან განაცხადონ არიან თუ არა დასაქმებულნი განმცხადებელ ორგანიზაციაში, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ კენჭისყრაში მონაწილეობა არ შეუძლიათ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ითხოვდა პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 350-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 350 ადგილით.

VI. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კ. ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	საგუნდო დირიჟორობა	მეხუთე	120	გუნდის ლოტბარის, რეგენტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
2.	საკრავიერი შემსრულებლობა(გიტარა)	მეხუთე	180	შემსრულებელი-ილუსტრატორის (კონცერტმაისტერის) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
3.	მუსიკის სწავლების საფუძვლები	მეხუთე	120	მუსიკოს-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

4.	ჯაზის ხელოვნება (საკრავიერი)	მეხუთე	180	ჯაზური მუსიკის შემსრულებლის (ინსტრუმენტალისტი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
5.	ჯაზის ხელოვნება (ვოკალური)	მეხუთე	180	ჯაზური მუსიკის შემსრულებლის (ვოკალისტი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
6.	ბალეტის ხელოვნება	მეოთხე	60	ქორეოგრაფ- რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კ. ჩოკორაიას დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდა, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია წარმოდგენილ 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვდა სტუდენტების ადგილების რაოდენობის 40-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 40 ადგილით.

VII. სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კონსტანტინე ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისთვის 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	კვალიფიკაცია
1.	მევენახე	IV	60	მევენახის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	მეხილე	IV	60	მეხილის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3.	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	IV	60	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

4.	ზოოტექნიკოსი	IV	60	ზოოტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	მელვინე	IV	60	მელვინის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6.	რძის გადამამუშავებელი	IV	60	რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	ყველის მწარმოებელი	IV	60	ყველის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8.	აგრობიზნესის მწარმოებელი	IV	60	სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მომხსენებელს დაუსვა კითხვა, შეესაბამება თუ არა სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი წარმოდგენილ 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვდა პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 240-ით განსაზღვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 240 ადგილით.

VIII. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოსმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტის, კონსტანტინე ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	მეტყვე (ტყის მჭრელი, ტექსატორი)	მეოთხე	60	მეტყვევის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	კბილის ტექნიკოსი	მეოთხე	60	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

3.	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	60	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4.	ხის მხატვრული დამუშავების დიზაინი	მეოთხე	60	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	ტანსაცმლის დიზაინი	მეოთხე	60	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6.	ტექსტილის დიზაინი	მეოთხე	60	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მეოთხე	60	სასტუმრო საქმის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

